საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/244
20/01/2023

244-21-2-202301201640

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7623 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. დემია-გეურარხში მდ. დებედას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი და დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი განცხადების თანახმად, საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის საანგარიშო ხარჯის უზრუნველყოფის მაჩვენებელი შეადგენს 5%-ს, რაც შეუსაბამოა მოქმედ ნორმებთან. ამასთან, განცხადების გრაფიკულ ნაწილში განივ კვეთებზე დატანილია 3% უზრუნველყოფის ხარჯის შესაბამისი დატბორვის და კალაპოტის წარეცხვის დონეები. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი;
- განცხადებით წარმოდგენილი კალაპოტის წარეცხვის სიღრმის ფორმულა საჭიროებს კორექტირებას, შესაბამისი კოეფიციენტის გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი უბნის დეტალური ჰიდროლოგიური ანგარიში დასაბუთებული დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეებით. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დატბორვის დონეების განსასაზღვრი ჰიდრავლიკური ანგარიშის შესაბამისი ხარჯისა და დატბორვის დონეების დამოკიდებულების გრაფიკების შესახებ. ჰიდრავლიკური ანგარიშის ყველა სიდიდე წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთებული რიცხვითი მნიშვნელობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო